თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“
P.S.
„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რაღ გვინდა ტაში!“

8 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის არჩევნებია!

მოდი არჩევნებზე!

№18 (757) 7 - 16 ოქტომბერი, 2016 | გამოდის 1995 წლიდან | ფასი: 70 თეთრი

პარტიული დაპირებები საარჩევნო სისტემების რეფორმებთან დაკავშირებით

წელს საპარლამენტო არჩევნები ისევ შერეული საარჩევნო სისტემის საფუძველზე ჩატარდება. 77 მანდატს ერთიანი პროპორციული საარჩევნო სისტემით მიიღებენ, დარჩენილი 73 მანდატი მაჟორტარი კანდიდარებისაა. პოლიტიკური პარტიები – მმართველი პარტიაც და ოპოზიციური პარტიებიც თანხმდებიან, რომ საპარლამენტო არჩევნების ჩატარების მოდელთან დაკავშირებით ცვლილებები გარდაუვალია, განიხილებოდა სხვადასხვა მოდელებიც. თუმცა, 2016 წლისათვის ცვლილებებზე შეთანხმებას ვერ მიაღწიეს.

რას აპირებენ პარტიები საარჩევნო მოდელთა დაკავშირებით და რა ცვლილებებს გეგმავენ, ეს თემები "სამართლიანმა არჩევნებმა" შეისწავლა და პარტიების პროგრამები დეტალურად განიხილა. აღმოჩნდა, რომ საარჩევნო მოდელთან დაკავშირებით ყველა ძირითადი პარტია ამბობს, რომ ცვლილებები აუცილებელია, თუმცა, საარჩევნო პროგრამაში მხოლოდ რამდენიმემ დაუთმო ყურადღება.

სახელისუფლებო პარტიამ ,,ქართული ოცნება" საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებული რეფორმები პროგრამაში ნაწილობრივ ასახა. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის წარმოდგენილ პროგრამაში საარჩევნო სისტემის კონკრეტულ მოდელზე გადასვლასთან დაკავშირებით დაპირებები არ გვხვდება. ზოგადად წერია, რომ კონსტიტუციასთან შესაბამისობაში საარჩევნო მოდელი გადაიხედება.

რაც შეეხება ,,ერთიან ნაციონალური მოძრაობას", მათ საარჩევნო სისტემის რეფორმის მოთხოვნით არაერთი ხმამაღალი განცხადება გააკეთეს, თუმცა, წინასაარჩევნო პროგრამა არ შეიცავს პარტიის ხედვას საარჩევნო სისტემის რეფორმირებასთან დაკავშირებით.

,,სამართლიანმა არჩევნებმა" სხვა პარტიების საარჩევნო პროგრამებიც შეისწავლა.

დაპირებების შესაბამისად, მხოლოდ რესპუბლიკური პარტიის საარჩევნო პროგრამაში არის ცვლილებების რეალური გეგმა.

პარტიას საარჩევნო პროგრამაში დეტალურად აქვს განხილული როგორც ადგილობრივი, ასევე, საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების ცვლილებების მათეული ხედვა.

,,პარტიის აზრით, საჭიროა, არსებული საპარლამენტო საარჩევნო სისტემის შეცვლა პროპორციული საარჩევნო სისტემით, როდესაც პარლამენტის 150-ვე წევრი აირჩევა მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქებში. რესპუბლიკური პარტიის აზრით, ასეთი სისტემა მოგვცემს ამომრჩეველთა ნების შესატყვისი შედეგის მიღების, მათ შორის, რეგიონული ინტერესების გათვალისწინების შესაძლებლობას." - წერია ,,სამართლიანი არჩევნების" ვებგვერდზე. რესპუბლიკელების საარჩევნო პროგრამა პრიორიტეტად ასახელებს ასევე, ქალთა წარმომადგენლობის უზრუნველყოფას პოლიტიკაში, გადაწყვეტილებების მიღების დონეზე.

„თავისუფალი დემოკრატების" პროგრამა არ შეიცავს პარტიის დაპირებას საარჩევნო სისტემის სამომავლო გარდაქმნასთან დაკავშირებით.

არც პოლიტიკური გაერთიანება ,,ეროვნული ფორუმის" საარჩევნო პროგრამაში არ არის საუბარი საარჩევნო სისტემის ცვლილებებზე.

,,პატრიოტთა ალიანსის" საარჩევნო პროგრამის მიხედვით, პარტია მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს მაჟორიტარული სისტემა. თუმცა, პროგრამაში ამომრჩეველთათვის არ არის შეთავაზებული კონკრეტული საარჩევნო მოდელი. ასევე, „პატრიოტთა ალიანსის" პოზიციით, უნდა შეიცვალოს სპეცუბნების შექმნის წესი. მისი შექმნა არ უნდა მოხდეს სამხედრო ნაწილებში.

,,დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს" წინასაარჩევნო პროგრამა არ მიმოიხილავს საარჩევნო თემატიკას.

როგორც ხედავთ, საარჩევნო სისტემის ცვლილება პარტიების საარჩევნო პროგრამებში აქტუალურ საკითხად არ გვხვდება, მიუხედავად იმისა, რომ მათი დიდი ნაწილი ერთ-ერთ მთავარ წინასაარჩევნო გამოწვევად სისტემის ცვლილებას ასახელებდა.

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

სტატია ქვეყნდება პროექტის ,,გაცნობიერებული არჩევანი–დემოკრატიის ფუნდამენტი" ფარგლებში.
ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდ "ღია საზოგადოება-საქართველოს" პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

მაკა ჩინიჯიშვილი

მასალა მომზადებულია ,,სამართლიანი არჩევნების" მონაცემების მიხედვით

პროფესიული განათლების მიღების მსურველთათვის რეგისტრაცია დაიწყო

3 ოქტომბრიდან 16 ოქტომბრის ჩათვლით, სახელმწიფო საგანმანათლებლოდაწესებულებებში, პროფესიული განათლების მიღების მსურველთათვის,150-ზე მეტ პროფესიულ პროგრამაზე რეგისტრაცია დაიწყო. საქართველოს განათლების მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ჯეჯელავა რეგისტრაციის პროცესს გლდანის პროფესიულ კოლეჯში გაეცნო.

წელს პირველად, დაიწყება სამი პროფესიული პროგრამის (მეცხოველეობის, მეხილეობისა და მეღვინეობის მიმართულებით) განხორციელება სამუშაოზე დაფუძნებული (დუალური) სწავლების ფორმით. დამსაქმებლები პირველად ჩაერთვებიან მომავალი სტუდენტების შერჩევისა და სწავლების პროცესში. დუალურ პროგრამებს პარტნიორ დამსაქმებლებთან ერთად, განახორციელებენ ახალციხის, კაჭრეთის, სენაკისა და წინამძღვრიანთკარის კოლეჯები. პროფესიული ტესტირების შედეგების მიხედვით, სახელმწიფო სრულად აფინანსებს პროფესიულ განათლებას სახელმწიფოს მიერ ან მონაწილეობით დაფუძნებულ სასწავლებლებში.

სახელმწიფო აგრძელებს ზრუნვას მოწყვლად ჯგუფებზეც. გათვალისწინებულია სოციალურად დაუცველი დევნილი პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერა ტრანსპორტირების ან საცხოვრებელი ფართის ქირის ხარჯების ანაზღაურების ფორმით; განახლებულია ტექნიკურ-მატერიალური ბაზები და ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჭიროების შესაბამისად. ასევე მნიშვნელოვანია, რომ პროფესიული განათლება ხელმისაწვდომი გახდა არაქართულენოვანი მოსახლეობისათვის: მათ შეუძლიათ სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენაზე გაიაროონ პროფესიული ტესტირება, შემდეგ კი სახელმწიფო დაფინანსებით დაეუფლონ ქართულ ენას და გააგრძელონ პროფესიული განათლების მიღება ქართულ ენაზე.

რეგისტრაცია შესაძლებელია პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რესურსცენტრებში დასაინფორმაციო ცენტრებში, მხოლოდ პირადობის მოწმობით. აპლიკანტი არჩევანს აკეთებს შეუზღუდავად, პრიორიტეტების მიხედვით;

რეგისტრაცია შეუძლია ყველა მსურველს მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირსაც, რომლისთვისაც მოქმედებს ალტერნატიული ჩარიცხვის პროცედურები. სახელმწიფო დაფინანსება შეუძლია მიიღოს მხოლოდ საქართველოს მოქალაქემ დ ჰუმანიტარული ლტოლვილის სტატუსის მქონე პირმა, რომელიც გადალახავს პროფესიული ტესტირებისთვის დადგენილ მინიმალური კომპეტენციის ზღვარს.

გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით, 29 ოქტომბერს რეგისტრანტებისთვის პრე-ტესტი, ხოლო 30 ოქტომბერს ერთიანი პროფესიული ტესტირება ჩატარდება.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა

გიგი წერეთელი

5

PS news.ge
ISSN 1987-7056

საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნები

კენჭისყრა იმართება
08:00 საათიდან 20:00 საათამდე

ამომრჩეველთა საყურადღებოდ!

კენჭისყრის შენობაში შესვლისას ნაკადის მომწესრიგებელ კომისიის წევრს წარუდგინეთ პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი (იძულებით გადაადგილებული პირის შემთხვევაში აგრეთვე დევნილის მოწმობა) და გაიარეთ მასთან მარკირების შემოწმების პროცედურა.

თუ აღმოჩნდა, რომ გაქვთ მარკირება, არ მოგეცემათ კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება

მარკირების შემოწმების პროცედურის გავლის შემდეგ მიდით სარეგისტრაციო მაგიდასთან და რეგისტრატორს წარუდგინეთ პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი (იძულებით გადაადგილებული პირის შემთხვევაში აგრეთვე დევნილის მოწმობა) ***გაიკეთეთ მარკირება***



მარკირებაზე უარის თქმის შემთხვევაში არ მოგეცემათ კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება

ამომრჩეველთა სიაში თქვენი გვარის გასწვრივ გააკეთეთ ხელმოწერა;
მიიღეთ რეგისტრატორისგან ბეჭდითა და ხელმოწერით დამოწმებული საარჩევნო ბიულეტენები;
კენჭისყრის კაბინაში შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი ერთი საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი;
თუ დამოუკიდებლად არ შეგიძლიათ შეავსოთ საარჩევნო ბიულეტენი, უფლება გაქვთ, კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მოიწვიოთ ნებისმიერი პირი, გარდა საარჩევნო კომისიის წევრისა, კანდიდატისა, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლისა, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალების წარმომადგენლისა და დამკვირვებლისა.

თუ გაგიფუჭდათ საარჩევნო ბიულეტენი, მიმართეთ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს,გადაეცით გაფუჭებული და მოითხოვეთ ახალი საარჩევნო ბიულეტენი

კენჭისყრის კაბინიდან გამოსვლის შემდეგ აიღეთ სპეციალური კონვერტი
და დაკეცილი საარჩევნო ბიულეტენები მოათავსეთ მასში;
სპეციალური კონვერტი მოათავსეთ საარჩევნო ყუთში.

კენჭისყრაში მონაწილეობის შემდეგ, გთხოვთ, დატოვოთ საარჩევნო უბანი

ცესკოს სატელეფონო/
საინფორმაციო ცენტრი – 2510051

ცესკო

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

დემოკრატიის სერვისი!

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა

ახალი ენერგიით საქართველოს წინსვლისთვის!

5

„ქუთაისი საპარლამენტო დედაქალაქი"

ეს არის ახალი სუნთქვა, ეს არის ძლიერი ქალაქი, ძლიერი რეგიონი, ძლიერი ქვეყანა!

გია თევდორაძე

გიგი წერეთელი

აკაკი ბობოხიძე

ემიგრანტობის მოკრძალებული სიბლი

პატარა ქალაქია ქუთაისი, მართლაც ყველა ყველას იცნობს. ჰოდა, მით უფრო შესამჩნევია , რომ ქუჩებში აღარ გვხვდებიან ნაცნობი სახეები- მეგობრები, ნათესავები, კლასელები, თანამშრომლები, მეზობლები, უბრალოდ ნაცნობები. მოიკითხავ და საბერძნეთშიაო, იტალიაშიაო, ესპანეთშიაო, თურქეთშიაო...

ირმა მაღლაფერიძესაც ბევრი იცნობს ქუთაისში, იცნობს და უყვარს ეს კეთილშობილებით გამორჩეული ქალბატონი. ირმა წლების მანძილზე გაზეთ „იმერეთის მოამბეში" მუშაობდა და რედაქციის ყველა სტუმარს პირველი სწორედ ის მასპინძლობდა. ირმას დიდი დამსახურებაც იყო ის სასიამოვნო გარემო, რაც მაშინ „იმერეთის მოამბეში" იგრძნობოდა. 10 წლის უკან ისიც ემიგრაციის რთულ და მძიმე გზა-სავალს დაადგა. საბედნიეროდ, მას გაუმართლა, კარგ ადამიანებს შეხვდა. როგორ ცხოვრობს იტალიაში, რას განიცდის და რას ფიქრობს, ამაზე თავად ირმა გიამბობთ:

-წლების წინ, როცა ქუთაისში, თეთრ ხიდზე, „პიკასოს ბიჭის" ქანდაკებასთან ჩავივლიდი, ვერც კი ვიფიქრებდი, რომ როდესმე საფრანგეთში, იმ სახლში მოვხვდებოდი, სადაც პიკასო ცხოვრობდა. ვერც იმას წარმოვიდგენდი ვერასდროს, რომ ვნახავდი პიზას, ვენეციას, ფლორენციას, მილანს, რომს...

„იმერეთის მოამბის" რედაქციაში, საგაზეთო სტატიებზე მუშაობისას , როცა უნებლიეთ მაინც გაგვეპარებოდა დასანანი შეცდომები ქართულ ენაში, ვინმეს რომ ეთქვა, რამდენიმე წელში იტალიურად ისაუბრებო, უკბილო ხუმრობად ჩავთვლიდი.

მაგრამ, ცხოვრება მოულოდნელობებით ყოფილა სავსე და 10 წლის წინ, მრავალი ჩემი თანამემამულის მსგავსად, მეც შორეული ქვეყნების გზას დავადექი. იტალია აღმოჩნდა ჩემი თავშესაფარი.

რთული და მძიმეა ემიგრანტის ცხოვრება უცხო ქვეყანაში, მარტოსულად გრძნობ თავს, გენატრება ყველა და ყველაფერი, რაც სამშობლოში დატოვე.

და ასეთ დროს, სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, ვის შეგახვედრებს ბედი, როგორ ადამიანებთან მოგიწევს ურთიერთობა.

მე გამიმართლა! 10 წლის მანძილზე, თითქმის ყველა იტალიელი, ვისთანაც კი მუშაობა და ურთიერთობა მომიწია, კარგი ადამიანი აღმოჩნდა, რაც მნიშვნელოვნად მიიოლებდა ემიგრანტობის სიმძიმეს.

5 წლის წინ მე დედა გავხდი. მხოლოდ 4, 5 თვე ვზრდიდი ჩემს პატარა კარლიტოს ქუთაისში, შემდეგ იტალიაში დავბრუნდი, მეუღლესთან ერთად, ისევ ბავშვის უკეთესი მომავლის გამო. ყველა დედა მიმიხვდება, რას ნიშნავს ჩვილი ბავშვის დატოვება, გაუსაძლისი მონატრების დაძლევა...

1 წლის წინ სამუშაო ადგილი შევიცვალე და ლეკოს პროვინციაში, ქალაქ ვიგანოში სინიორ სირტორის დიდ სახლში დავიდე ბინა.

სინიორ ტინო სირტორი 92 წლისაა, თუმცა წლების სიმრავლე ხელს არ უშლის, ცხოვრებით დატკბეს, იმოგზაუროს შვილებთან ერთად. მისი ქალიშვილი, **როსელა სირტორი** და სიძე **ფრანკო ბრინი,** ლეკოს პროვინციის წარჩინებული და პატივსაცემი ადამიანები არიან.

სინიორა როსელა მომხიბვლელი, სათნო და კეთილი იტალიელი ქალბატონია, ხალისიანი და ყურადღებიანი. მას თავისი ბიზნესი აქვს- ფლობს ჯაჭვების დამამზადებელ დიდ ქარხნებს მსოფლიოს რამდენიმე ქალაქში. მისი მეუღლე, სინიორ ფრანკო მთელს პროვინციაში ცნობილი და პატივსაცემი ნოტარიუსია.

მათ ოჯახში მოხვედრის პირველივე დღეებიდან მივხვდი, რა დიდებულ ადამიანებთან მომიწია შეხვედრა. ამ ოჯახის ყველა წევრი ცდილობს, ადამიანად მაგრძნობინოს თავი და სათანადოდ დააფასონ ის შრომა, რასაც მე მათ სახლში ვეწევი. გულისხმიერი და კეთილი ადამიანები არიან. როცა გაიგეს, რომ პატარა შვილი მყავს საქართველოში დატოვებული, კიდევ უფრო მეტი კეთილგანწყობა გამოიჩინეს ჩემს მიმართ.

ამ ზაფხულში სინიორ სირტორი შვილებმა საფრანგეთში წაიყვანეს სამოგზაუროდ, მეც თან მიახლეს.

არასდროს დამავიწყდება ეს ერთკვირიანი საოცარი მოგზაურობა. იქ ვნახე უძველესი, 981 წელს აშენებული სანტა მარიას ეკლესია, რომლისკენაც მიმავალი გზა საოცრად ჰგავდა გელათის მონასტრისკენ მიმავალ გზას. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო სოფელი, რომელიც დღემდე ზუსტად ისეა შემონახული, როგორც ის დატოვეს ფაშისტებმა- აოხრებული და დარბეული, მეორე მსოფლიო ომის დროს.

ულამაზეს სანაპიროზე, ხმელთაშუა ზღვაში, ვნახე მსოფლიოში უდიდესი და ყველაზე ძვირადღირებული იახტა, სირტორებთან ერთად ფეხით შემოვიარე უძველესი პატარა ფრანგული ქალაქები და სოფლები.

ჩემთვის დიდი სიურპიზი იყო, როცა პიკასოს სახლში აღმოვჩნდით. პიკასოს სახლ-მუზეუმს ანტიბეში ყოველდღიურად ასობით ტურისტი და პიკასოს შემოქმედების თაყვანისმცემელი სტუმრობს.

საფრნგეთიდან წარუშლელი შთაბეჭდილებებით სავსე დავბრუნდი. სინიორ სირტორის ახლაც ხშირად ვესაუბრები ამ მოგზაურობაზე.

რომ არა ეს დიდებული ოჯახი, პიკასო ჩემთვის ისევ მხოლოდ ქუთაისში, თეთრ ხიდზე არსებული „პიკასოს ბიჭის" ქანდაკებით იქნებოდა ნაცნობი.

მინდა, ეს მადლიერება ემიგრანტი ქართველი ქალისა ვაგრძნობინო ამ ოჯახს და სიკეთით გადავუხადო ყველა იმ სიხარულისთვის, რაც მათ მე მომანიჭეს. თუმცა, მაინც მოუთმენლად ველი იმ დღეს, როცა ჩემს მშობლიურ ქუთაისს საბოლოოდ დავუბრუნდები.

ირმა მარდალეიშვილი

ღვინის მე-3 ეროვნული კონკურსის დაჯილდოება

ქართული ღვინის კვირეულის ფარგლებში, საქართველოს სომელიეთა ასოციაციის ორგანიზებითა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით ქართული ღვინის მე-3 ეროვნული კონკურსის გამარჯვებულთა დაჯილდოვების საზეიმო ღონისძიება გაიმართა.

საქართველოს სომელიეთა ასოციაციამ გამარჯვებულ ღვინოთა გამოსავლენად 300-ზე მეტ სტუმარს უმასპინძლა. ნანი ბრეგვაძის, ეკა მამალაძისა და დავით მაზანაშვილის ორკესტრის ცოცხალმა შესრულებამ საზეიმო საღამოს მართლაც განსაკუთრებული ელფერი შესძინა. დაჯილდოების ცერემონია (რეჟისორი: ზაალ ჩიქობავა, სცენარის ავტორი: გურანდა იაშვილი, საღამოს წამყვანი: თიკა ფაცაცია) თბილისის ღვინის სკოლის კურსდამთავრებულებისათვის სერტიფიკატების გადაცემით გაიხსნა. რამდენიმე-საფეხურიან გამოცდებში, მათ შორის — საერთაშორისო WSET-ში წარმატებული კურსდამთავრებულები საზეიმოდ გაწევრიანდნენ საქართველოს სომელიეთა ასოციაციაში, სომელიეების და ასისტენტ-სომელიეების სტატუსით. დაჯილდოებაზე, ასევე, ასოციაციის მიერ დაწესებული „ქართული ღვინის ორდენის“ კავალრები გამოვლინდნენ:

ღონისძიებას სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი, ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი სამანიშვილი, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორი ლევან უჯმაჯურიძე, ღვინის მწარმოებელი კომპანიების, მეღვინეობის დარგის ექსპერტები, სომელიეები და მედიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

დაჯილდოვების საზეიმო ცერემონიაზე დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა და აღნიშნა, რომ წელს ქართული ღვინის კვირეული წარმატებით ჩატარდა და მის ფარგლებში არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება გაიმართა.

,,სასიამოვნოა, რომ ღვინის კვირეული ქართული ღვინის ეროვნული კონკურსის გამარჯვებულთა საზეიმო ღონისძიებით დასრულდა. მინდა, მადლობა გადავუხადო სომელიეთა ასოციაციის პრეზიდენტს, რომლის ინიციატივითაც აღნიშნული კონკურსი 3 წლის წინ დაარსდა და ტრადიციად იქცა. სახელმწიფო ყოველთვის იქნება მხარდამჭერი იმ მნიშვნელოვანი წამოწყებების, რომლებიც ხელს შეუწყობს მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარებას, ქართული ღვინის პოპულარიზაციას და ცნობადობის ამაღლებას. მისასალმებელია, რომ ინტერესი ქართული ღვინისა და ღვინის კულტურის მიმართ დღითიდღე იზრდება“, - აღნიშნა ლევან დავითაშვილმა.

საზეიმო მიღებაზე ქართული ღვინის მე-3 ეროვნული კონკურსის ფარგლებში, 15 ნომინაციაში გამარჯვებულ კომპანიებს სპეციალური დიპლომები სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა, ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ, გიორგი სამანიშვილმა და კონკურსის ჟიურის წევრებმა გადასცეს.

საქართველოს სომელიეთა ასოციაცია „ქართული ღვინის ეროვნულ კონკურსს“ მესამე წელია, ატარებს. კონკურსის მხარდამჭერები არიან:სოფლის მეურნეობის სამინისტროს ღვინის ეროვნული სააგენტო, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, „აჭარა ჯგუფი“ და „სასტუმრო რუსმი“.

კონკურსის ჟიურის წევრები პროფესიონალი ენოლოგები, სომელიეები და ღვინის პროფესიონალები არიან. წლევანდელი კონკურსის ჟურის წევრები იყვნენ: ირმა ჭანტურია, ნინო მაისურაძე, თამთა ჭავჭანიძე, თინათინ ჯაჯანიძე, ეკატერინე ბუხრაძე, ლევან მეხუზლა, ფრანჩესკო კასტელი, მაგდა სურგულაძე, დავით მაჭავარიანი, გიორგი ბარისაშვილი, მარიამ ხომასურიძე, ირაკლი ნანეიშვილი, მარიაკა მიქიაშვილი, გიორგი დარსიმელია, დარეჯან დარაშვილი, ვანო შიუკაშვილი, გიორგი თევზაძე, ბონდო კალანდაძე, ვასილ სიხარულიძე, ზურაბ სტურუა, ჯონ ვუმბერმანი, გიორგი აბრამიშვილი, მურმან ქორიძე, მანანა ახვლედიანი, კლერ უგენბერგერი.

ქართული ღვინის მე-3 ეროვნული კონკურსის გამარჯვებულები გახდნენ კომპანიები:

1. საუკეთესო ცქრიალა ღვინო - კომპანია ,,ბადაგონი“ – მაესტრო. 2015წ;
2. საუკეთესო თეთრი მშრალი - კომპანია ,,კახური ღვინის მარანი“– მანავი. 2014წ;
3. საუკეთესო წინანდალი - კომპანია ,,ვაინმენი“ – წინანდალი. 2014წ;
4. საუკეთესო ქვევრის თეთრი ღვინო - კომპანია ,,ვიტა ვინეა“ – ქისი ქვევრი 2014წ
5. საუკეთესო თეთრი ნახევრად ტკბილი - კომპანია ,,ვინი ვერია“ – ქისი 2015;
6. საუკეთესო ვარდისფერი ღვინო - კომპანია ,,თბილღვინო“ – საფერავი როზე 2015;
7. საუკეთესო საფერავი - კომპანია ,,კახური ტრადიციული მეღვინეობა“ –საფერავი 2014წ;
8. პრემიალური საფერავი - კომპანია ,,კახეთი კომპანი“– ყვარელი 2013წ;
9. საუკეთესო მუკუზანი - კორპორაცია ქინძმარაული – მუკუზანი 2013;
10. საუკეთესო წითელი ნახევრადტკბილი - კომპანია ,,GWS ვისმინო“ – ახაშენი 2014;
11. საუკეთესო უსახელაური - კომპანია ,,უსახელაურის ვენახები“ – უსახელაური 2015;
12. საუკეთესო ქინძმარაული - კომპანია ,,თელიანი ველი“ – ქინძმარაული 2014;
13. საუკეთესი ქვევრის წითელი მშრალი ღვინო - კომპანია ,,კორტავების მარანი” – საფერავი 2015წ
14. საუკეთესო ხვანჭკარა - კომპანია ,,თელავის ღვინის მარანი“– ხვანჭკარა 2015წ
15. საუკეთესო ჭაჭა - კომპანია ,,რირავო“ –ჭაჭა 2015წ.

სომელიეთა ასოციაციის ღვინის ეროვნული კონკურსი მნიშვნელოვანია იმიტაც, რომ პროფესიული ჟიურის პარალელურად ყოველ წელს მუშაობს ასევე „სახალხო ჟიური“, რომლის შემადგენლობაში არიან საზოგადოებისათვის ცნობილი სახეები, ხელოვნებისა თუ მედიის წარმომადგენლები. წელს მედიაჟიურის რჩეული ღვინოები გამოვლინდა, რომლებიც ასევე დიპლომებით დაჯილდოვდნენ.

აი, ისინიც, ვინც მედიარჩეული ღვინოების ტიტულების მფლობელები გახდნენ:

1. კომპანია „შუმი“ – კახური მწვანე 2014წ;
2. „შაქარაშვილის მარანი“ – ქისი ქვევრი 2013წ;
3, „პეტრიაანთ მარანი“ – რქაწითელი ქვევრი 2015წ;
4. „ხოხბის ცრემლები“ – მწვანე 2015წ;
5. „ვისმინო GWS” - გრანდ საფერავი 2013წ;
6. „სესიაშვილის მარანი“ – „გავაზი“ წითელი. ქვევრი. 2005წ;
7. „ვაზისუბნის მამული“ – საფერავი;
8. „მარანული“ – ხვანჭკარა 2015წ;
9. „მილდიანი“ – ქინძმარაული 2014წ;
10. „შალოშვილის მარანი“ –ქინძმარაული 2014წ;
11. კომპანია „ზეარის“ – ჭაჭა.

ღვინის ეროვნული კონკურსზე დაწესებულია ასევე „ღვინის ორდენი“, რომელიც ყოველწლიურად სამ ადამიანს გადაეცემა ხოლმე, რომელთაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს მევენახეობა–მეღვინეობის განვითარებასა და პოპულარიზაციაში.

წელს „ქართული ღვინის ორდენი“ გადაეცათ:

- **დავით ლორთქიფანიძეს** (საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორი) - საქართველოს ვაზისა და ღვინის სამშობლოდ აღიარების მეცნიერულ დასაბუთებაში არქეოლოგიური აღმოჩენებით შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.
- **გიორგი ბარისაშვილს** (მეღვინე, მწერალი) - ქართული ტრადიციული მეღვინეობის ისტორიის კვლევის სწავლებისა და პოპულარიზაციისთვის;
- **გიორგი ნათენაძეს** (ვაზის მესხური ჯიშების მკვლევარი, კომპანია ვარძიის ტერასების დირექტორი) - ვაზის მესხური ტერასიებს აღდგენის ინიცირებისა და მის განხორციელებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის.

ღვინის ორდენის კავალრები მედლებითა და დიპლომებით დააჯილდოვეს: სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა, სომელიეთა ასოციაციის პრეზიდენტმა, შალვა ხეცურიანმა და ცნობილმა მეღვინემ და სპირტიანი სასმელების სპეციალისტმა, ბონდო კალანდაძემ.

ღონისძიების ფარგლებში, სერტიფიკატები გადაეცათ თბილისის ღვინის სკოლის კურსდამთავრებულებს, მათ შორის წარმატებულები კი - საქართველოს სომელიეთა ასოციაციაში სომელიეებისა და ასისტენტ-სომელიეების სტატუსით გაწევრიანდნენ.

დაჯილდოვების ცერემონიაზე განსაკუთრებული ამაღლებული და საზეიმო განწყობა სპეციალურმა სტუმრებმა - ნანი ბრეგვაძემ და ეკა მამალაძემ შექმნეს.

ღვინის ეროვნული სააგენტო
http://georglanwlne.goV.ge/geo/new/12954

მთავარი რედაქტორი: ნატო გუბელაძე
დიზაინი: ირმა ბახუტაშვილი
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას. Q — **ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე**
გამომცემელი — შპს „P.S.“ („პოსტსკრიპტუმი“). ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია №5/ბ-1401 გაზეთ „P.S.“-ის კლასიფიკაციის კოდი: **UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054) პ - 658 P - 86**
მისამართი: ქუთაისი. რუსთაველის გამზირი №37ª. პრესის სახლი. ● (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46. ● psnews27@gmail.com ● www.psnews.ge